5137/1-6/21 2 31052021

5137/1-6/21
31-05-2021

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ კახა კალაძეს

ბატონო კახა,

მოგეხსენებათ, რომ აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზანია საკუთრების/სარგებლობის უფლების მინიჭება აუქციონში მონაწილე იმ პირისთვის, რომელიც ვაჭრობის პროცესში მუნიციპალიტეტის ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს, ხოლო თუ აუქციონი პირობებით გამოცხადდება – საკუთრების/სარგებლობის უფლების მინიჭება აუქციონში მონაწილე იმ პირისთვის, რომელიც აიღებს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები, და ვაჭრობის პროცესში მუნიციპალიტეტის ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, ამავე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში მომაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია:

2020 წლიდან დღემდე რამდენ პირთან და რა მიზეზით შეიცვალა პირობებით გამოცხადებული აუქციონის საფუძველზე, ქონების გადაცემასთან დაკავშირებული ხელშეკრულების პირობები?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ლევან იოსელიანი

წერილის ნომერი: **61-01211763338**
თარიღი: **25/06/2021**
პინი: **6083**

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ბატონო ლევან,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნათა შესაბამისად, გიგზავნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოში 2021 წლის 31 მაისს თქვენ მიერ წარმოდგენილი 5137/1-6/21 (რეგ: N02-01211512610-01) განცხადებით მოთხოვნილ ინფორმაციას/დოკუმენტაციას.

დანართი 1 (ერთი) exel-ის ფაილი.

პატივისცემით,

მარიამი კვერნაძე

სსიპ ქონების მართვის სააგენტო-იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახური-სააგენტოს უფროსის მოადგილე (სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

N	აუქციონში გამარჯვებული	განკარგვის ფორმა
1	შპს „სითი ბოქსი“, ს/კ: 439402843)	აუქციონი/სარგებლობა
2	შპს „ზურგოვანა“ (ს/ნ: 402027551)	აუქციონი/ნასყიდობა
3	შპს „გოლდვინი“ (ს/კ 405308135)	აუქციონი/ნასყიდობა
4	შპს თაბორი რიზორთსი ს/ნ: 405147755	აუქციონი/ნასყიდობა

5	შპს „სითი ბოქსი“, ს/კ: 439402843)	აუქციონი/სარგებლობა
6	შპს „სითი ბოქსი“, ს/კ: 439402843)	აუქციონი/სარგებლობა
7	შპს „ინდუსტრიული ქალაქი“ (ს/ნ: 404580191)	აუქციონი/საკუთრება
8	ბექარ ურუშაძე (პ/ნ: 01010014276)	აუქციონი/საკუთრება
9	შპს „ალმა“ (ს/ნ: 204873388)	აუქციონი/სარგებლობა /იჯარა

10	ერმილე ნიკოლაიშვილი (პ/ნ: 01008005123)	აუქციონი/საკუთრება
11	გიორგი დათიაშვილის (პ/ნ: 01013011458) უფლებამონაცვლე შპს „მექანი“ (ს/ნ: 416305830)	აუქციონი/საკუთრება

ხელშეკრულება	პირობა
„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კონსალტინგ გრუპს“ (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი“, ს/კ: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულება	რიყის ტერიტორიაზე რეტერატის გათავსება 2020 წლის 30 აპრილამდე.
„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ზურგოვანას“ (ს/ნ: 402027551) შორის 2019 წლის პირველ მაისს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-459-10-23267 ხელშეკრულება	ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩა მე-2 კვ, I კორპუსის მიმდებარედ 3013 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.706) შეზღუდვა - „უძრავი ქონების
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „გოლდვინს“ (ს/კ 405308135) შორის 2019 წლის 21 იანვარს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-441-36-23013“ ხელშეკრულება	N81.02.21.633 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის პირობა - ,,მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ჩარჩო გეგმის ფარგლებში''.
„2016 წლის 13 მაისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-308-26-19647 ხელშეკრულება	ქ. თბილისში, ოქროყანის დასახლებაში მდებარე 297 576 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.18.01.002.160 მიწის ნაკვეთის პირობა- სამშენებლო ნებართვის აღებიდან არაუგვიანეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში, მაგრამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 48 (ორმოცდარვა) თვის ვადაში არანაკლებ 80 (ოთხმოცი) ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა, რომლის განაშენიანების ფართი, გარდა ტექნიკური დამხმარე ფართისა, უნდა იყოს არაუმეტეს 20 000 (ოცი ათასი) კვ.მ;

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კონსალტინგ გრუპს“ (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი“, ს/კ: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება	რიყის ტერიტორიაზე რეტერატის გათავსება 2019 წლის 31 ივლისამდე
„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სითი ბოქსი“, ს/კ: 439402843) შორის 2018 წლის 28 სექტემბრის NNე-427-1-22706 იჯარის ხელშეკრულება	გორგასლის ქუჩაზე რეტერატის ადგილმონაცვლეობა
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიული ქალაქს“ (ს/ნ: 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-482-1-23724 ხელშეკრულება	ქონების შემძენს დაეკისრა პრივატიზებულ ქონებაზე 8,000,000.00 (რვა მილიონი) აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) ოდენობით ინვესტიციის განხორციელება, ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 წლის ვადაში გრაფიკის შესაბამისად
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ბექარ ურუშაძეს (პ/ნ: 01010014276) შორის 2020 წლის 18 აგვისტოს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-532-9-25327 ხელშეკრულება	ქონება გასხივსდა ხე-ნარგავების შენარჩუნების პირობით, რომელიც ასევე აისახა ხელშეკულების „ბ“ პუნქტში შემდეგი ჩანაწერით: „ხე-ნარგავების შენარჩუნება“
2016 წლის 19 აპრილს შპს ,,ალმა ტრანსპორტსა“ (ს/კ: 405142821) (უფლებამონაცვლე - შპს „ალმა“ (ს/ნ: 204873388)) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება	ქალაქის მასშტაბით 2017 წლის 16 აპრილამდე მოაწყოს 700 ერთეული საქალაქო ტრანსპორტის მოსასცდელი, განახორციელოს მათი მოვლა პატრონობა და გადაიხადოს ხელშეკრულებით განსაზღვრული იჯარა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ერმილე ნიკოლაიშვილს (პ/ნ: 01008005123) შორის 2015 წლის 30 ნოემბერს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-287-13-16084 ხელშეკრულება	შეზღუდვა: „დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე“
2016 წლის 11 მარტის პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-297-15-17432 ხელშეკრულება	საპრივატიზებო ობიექტი განიკარგა „საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის განთავსების პირობით“

მოთხოვნა/საფუძველი	შეცვლილი პირობა	მთავრობა
ითხოვა რიყის ტერიტორიაზე რეტერატის ადგილმონაცვლეობა და რეტერატის განთავსების ვადის გადავადება	რიყის ტერიტორიაზე ლოკაცია შეიცვალა იმავე ტერიტორიაზე და ვადა განისაზღვრა 2020 წლის 1 ოქტომბრამდე	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 12 აგვისტოს N20.883.1114 განკარგულება
შპს „ზურგოვანამ“ (ს/ნ: 402027551) 2020 წლის 10 მარტს N10/01200703572-61 განცხადება მიმართა სააგენტოს და მოითხოვა მიწის ნაკვეთზე არსებული შეზღუდვის	მოიხსნა შეზღუდვა	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 10 ივნისის N20.597.746 განკარგულება
შპს „გოლდვინის “ (ს/კ 405308135) განცხადება პირობის გაუქმებაზე	პირობა გაუქმდა	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 27 მარტის N20.380.420 განკარგულება
შპს თაბორი რიზორთსის განცხადება პირობის შეცვლაზე	არაუგვიანეს 2022 წლის 31 დეკემბრისა, განახორციელოს არანაკლებ 80 (ოთხმოცი) ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა, რომლის განაშენიანების ფართი, გარდა ტექნიკური/დამხმარე ფართისა, უნდა იყოს არაუმეტეს 20 000 (ოცი ათასი) კვ.მ.	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 15 იანვრის N20.36.54 განკარგულება

ითხოვა რიყის ტერიტორიაზე რეტერატის ადგილმონაცვლეობა და რეტერატის განთავსების ვადის გადავადება	რიყის ტერიტორიაზე ლოკაცია შეიცვალა იმავე ტერიტორიაზე სხვა ადგილით და ვადა განისაზღვრა 2020 წლის 30 აპრილამდე	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 5 თებერვლის N20.145.158 განკარგულება
ითხოვა გორგასლის ქუჩაზე რეტერატის ადგილმონაცვლეობა სოფიკოს სკვერში	რეტარატის განთავსების ლოკაცია განისაზღვრა სოფიკოს სკვერში	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 29 იანვრის N20.113.131 განკარგულებ
შპს „ინდუსტრიული ქალაქის“ (ს/ნ: 404580191) განცხადებები/ პანდემიიდან გამომდინარე	არაუგვიანეს 2025 წლის 23 სექტემბრამდე განახორციელოს 8 მილიონის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება	თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 2 სექტემბრის N20.993.1241 და 2021 წლის 2 ივნისის NN21.710.828 განკარგულებები
მყიდველის განცხადება პირობის ცვლილება შემდეგი პირობით „ხე-ნარგავების შენარჩუნების პირობით, ხე-ნარგავების იმავე საკადასტრო ერთეულზე გადარგვის უფლებით“	წინა პირობა შეიცვალა და განისაზღვრა აღნიშნული ვალდებულება „ხე-ნარგავების შენარჩუნების პირობით, ხე-ნარგავების იმავე საკადასტრო ერთეულზე გადარგვის უფლებით“	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 10 თებერვლის N21.135.161 განკარგულება
მოიჯარის განცხადება	დაზუსტდა გაჩერებების განთავსების ადგილები და განისაზღვრა გაჩერებების განთავსების დეტალური პირობები/ვადები.	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 24 თებერვლის N21.206.255 განკარგულება

მხარის განცხადება/სასამართლოს გადაწყვეტილება	პირობა შეიცვალა - განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად; მხოლოდ ღობის მშენებლობის უფლებით''	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 17 თებერვლის N21.171.211 განკარგულება
მხარის განცხადება	„საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის განთავსების პირობით“ - პირობა უქმდება	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 7 აპრილის N21.436.507 განკარგულება

საკრებულო
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 აგვისტოს N217 განკარგულება
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის N145 განკარგულება
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 3 აპრილის N77 განკარგულება
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვარი განკარგულება N3

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვალი განკარგულება N31
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვალი განკარგულება N19
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 სექტმებრის N218 და 2021 წლის 15 ივნისის N240 განკარგულებები
თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 თებერვლის N58 განკარგულება
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 1 მარტის განკარგულება N81

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 მარტის N104 განკარგულება
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 1 ივნისის N208 განკარგულება